



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 28

2017 წლის 19 აპრილი

ქ. თბილისი

2017 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის
სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის გამოცხადების
შესახებ

“სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის
ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის N62/5 ბრძანებით
დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების
მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის
დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, ნინო ბიწაძის, სამსახურებრივი ბარათის (N369712, 19.04.2017)
შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2017 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის
აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო
კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს 2017 წლის კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის
შესაბამისად;
4. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი)
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე
განთავსება;
5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი